გაზეთის ფასი:

12	თვით	. . 10	მ. — კ.
11	,,	. . 9	,, 50 ,,
10	,,	. . 8	,, 75 ,,
9	,,	. . 8	,, — ,,
8	,,	. . 7	,, 25 ,,
7	,,	. . 6	,, 50 ,,
6	,,	. . 6	,, — ,,
5	,,	. . 5	,, 50 ,,
4	,,	. . 4	,, 75 ,,
3	,,	. . 3	,, 50 ,,
2	,,	. . 2	,, 75 ,,
1	,,	. . 1	,, 50 ,,

ივერია

№ 158 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 158

ფასი ერთის ფასის ნაწილ-ნაწილად შეიტანების ვადა.

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თებერვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თებერვის 1 ს—2 მ. და ეკვენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შეიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან

პირველ მაკათათვიდამ წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისთვის ჰღირს ქალაქში 2 მან. 75 კაპ. და ქალაქ გარედ 3 მან. 50 კაპ.

ქა'შვეთის წმ. გიორგის ეკლესიის კრებული

აცხადებს, რომ

კვირას, 11 ივლისს, წირვის შემდეგ,

დასიშნულია

არჩევანი

ხსენებულის ეკლესიის მნათესი (სტაროსტა). (2—1).

გამოვიდა და ისყიდება ეგელა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ია ეკალაძისა,

(ავტორის სურათით).

ფასი ერთი მანეთი.

წიგნის დაბარება შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდგან. (15—13).

საუკეთესო საბარაპო ადგილები

ზედ სურამის მახლოგლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, ხსვა და ხსვა ზომისა,

იაყიდება

იაფად და ხელმისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

Ferienkolonien. Colonie des vacances

„პატარა-ცემი“-ს

საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოეოსოვრება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიდება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდეგ სენით და ფილტვების სიცხელ-ქით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთა-ადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე: 15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვამდე.**

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46. (15—15)

გამოვიდა და იყიდება

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამოცემანი:

ჯაი ჭკუისაგან

ა. გრიბოედოვისა, ლექსად თარგმნილი განდეგილისაგან.

ისყიდება „კრედიტ ფონ-კითხვის საზოგადოებაში“ და „ეროვნის“ წიგნის მაღაზიაში

ეკატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

შექსპირის პიესები

თარგმნილნი ივ. მაჩაბლის მიერ, რომელიც შეძენილი აქვს ქართ. დრამ. საზოგადოებას.

მსურველთ უნდა მიმართონ ქართულ. დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრაშვილს. (4—1),

გამოვიდა და ისყიდება

ეკატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრაშვილს (3—3)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ბაგანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ყიდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распространенія грамотности.

ახლა გამოვიდა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“

ბულიეთერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ ადმოსავლეთის დაფერადებული

ბარათული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ „ივერიისა“. ფასი სამი შაური

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

პერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. ბედევანიშვილისა

კუკია, ეელიოკანიტელის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ა. ნ. ლიასმაიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. ფოლინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

ა. ი. ბალაჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. ბ. ბოლინი. ქალის., საბებ. და ბავშ. შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 12—1 ს.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროთერაპია 12—1 ს.

ტყეშელაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი ბ. ქ. იოსელიანი—ქალის და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ბ. სოგბოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ბ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

საშკურნალოშა ჭნდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიოლოგიური კაბინეტი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროკტები 3 მან. 5 თანეამდე. საკურნალოს გადართოვებულია ოცი კროკტით.

46—8 ტელეფონი № 274 (ბ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონეკოვის ძველის პირდაპირ) ავადმყოფნი იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ბ. ჩიტოკანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ბ. ბ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—ყანისა, და ვენერიულ ბინურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ა. ი. ბალჯიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ს ა ღ ა მ ო ბ ი თ:

ნ. ნ. ოსტოტოვეზოვი. 5—6 ს. ბირურგიულს და ყანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ბ. ს. ილინი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი ა. ი. ზერეგბინინა. 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ბ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. ავანესიანაკი. 11—1 ს. უკვეთებს ხახლში და მსურველთ მასხავს, ეფეურის ყვავილ გამართავს საექიმო ტემპერატურას ექიმის დანიშნულ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, დარიბთათვის უფასოდ; ფასი ეონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი: სამკურნალოსი დოქტორი ქ. ბაძილიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра *Navasardiana*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. ნ.

ქართველი მკურნალნი:

ბედევანიშვილი მიხეილ,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამის 6—7 საათამდე.

ბაძილიშვილი კონსტანტინე ელისაბეთის ქუჩ. სახლი მიდოფოს. № 5

ბაბაშვილი ბრიგოლ,—ეოჩუბეის ქუჩ, № 19.

ვაფაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩ. საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზოზის ასული ზალიშვილისა, მიხეიდის ბრასპექტი, № 145.

ლიასამიძე ალექსანდრე,—მიხეიდის ბრასპექტი, სახლი დოდუხანოვისა, № 123.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

დეპეშები დაშიკოდან.—სად არის გენერალი კურიკი.—წერილი ცნობები.—იაპონელები და ლაჭრილები.—კორეისის ნიშანი.

დაშიკოდგან გაზეთ ნოვოსტს შემდეგი დეპეშები მოსულია 1 ივლისს:

პორტ-არტურიდგან ცნობები მოვიდა უკანასკნელ იერიშის შესახებ. იაპონელები მეცხოვნეებს უკუ უქცევიან დიდის ზანით. 25,000 იაპონელები დაიღუპაო. ჩვენც 5,500 კაცამდე დაკარგეთო.

მტრის ბანაკი ჩვენმა ჯარმა დაიპირა. მტერი იძულებულია პირი იბრუნოს. მალე დიდი ბრძოლა მოსალოდნელია. აღმოსავლეთის მხრივ იაპონელები რუსის ჯარს გარს უვლიან. ბრძოლა უნდა მოხდეს.

—

დღეს დაატყვევეს იაპონელი ჯაშუში, ჩინელად ჩაცმული. გამოკითხვის დროს, ტყვემ განუცხადა, იაპონელი კიარა, კორეველი ვარ, ხოლო 12 წელი ვსცხოვრობ იაპონიაში და ისე შემიყვარდა ეს საოცარი ქვეყანა, რომ მისთვის სიცოცხლეც არა მსურს და თავს შევწირავო. იაპონელები მისულან, რომ ან გაიმარჯონ ან დაიხოცონო. ჩემისთანა მრავალია და მრავალიც იქმნება. იაპონელები დარწმუნებული არიან, რომ გაიმარჯვებენ, და გირჩევთ რუსებს მალე ითხოვოთ ზავის დადებაო.

—

ყველასა ჭგონია, რომ კურიკი ამ ეამად დიდის ძალით ჩვენს ჯარის მარცხენა ფრთას გარს უვლის. ხოლო ამ ლაშქრის მოქმედება დემონსტრაციას წაადგეს. იაპონელები დიდს ბრძოლას ჯერ ერიდებიან.

ჩინელები იაპონელებს ემსახურებიან და იმათ ფოსტას ატარებენ. ბრძოლის შემდეგ, როდესაც რუსებს თავისი დაკრილი ჯარის კაცები დასაბინავებლად უნდა წაეყვანონ, ჩინელი მუშები არ მიეკარნენ საშველად, თუმცა გრაფ

ჯოუს ბრძოლის შემდეგ, გენერალი კუროკა მთლად თავის ლაშქრის ჩრდილოეთისკენ გადიყვანს, ლიაოიანს დაეცემა და რუსის ჯარს შუა ქალაქის გზას გადუჭრისო. ნამდვილად კი არავინ იცის, რა განზრახვა აქვს გენერალ კუროკის და ან სად არის ეს სარდალი. გაიჯოუს ბრძოლის დროს რუსებს იმედი ჰქონდათ გავიგებთ გენერალ კუროკის ბინას და მიეხვედრით, საით მიიწევსო, მაგრამ გენერალი კუროკი არსად გამოჩნდა (ნოვ.).

—

გაზეთ «ნ. ფ. Ა.» აუწყებენ ჩიფუდგან, ეფთი რუსის სამხედრო გემი პორტ-არტურიდგან გამოვიდა და სადღაც გიპაპარო; იაპონელებმა ვიეთმეკ შენიშნეს და გამოეკიდნენ, მაგრამ რუსის გემმა თავს უშველია. (ნ. Ა.).

—

ვლადივოსტოკიდგან იწერებიან: ვლადივოსტოკში სიწყნარეა. დღეს, 2 ივლისს, მე-30 მსროლელთა პოლკის დღეობა იყო და ადმირალ სკრიდლოვის დიდი ოფიციები გაუმართეს. ტოლიდგან ცხენები გამოუშვეს, ოფიცრები და დამალი ჯარის კაცები ჩაებნენ და ადმირალი ისე წაიყვანეს. ადმირალ სკრიდლოვმა გენერალ კუროპატკინს დებეში გაუგზავნა: სადღეგრძელო წარმოვსთქვი თქვენის ჯანმრთელობისა და მანჯურიის ლაშქრის გამარჯვებისა. დიდხანს «ურა» გრიალებდა. სიამოვნებით გაუწყებთ ამ ამბავს. თქვენის სამხედრო ნიჭის თაყვანის მცემელი სკრიდლოვი. (ნ. Ა.).

—

გენერალი სტესსელი, პორტ-არტურის გმირი, შეეცალიელი ყოფილა, ამბობს ერთი შეეცალიელი გაზეთი. ის დაბადებულა ციურიხის კანტონში და 1888 წლამდე ტენნის მატარებლების ქარხანაში ყოფილა ინჟენერად. შემდეგ პეტერბურგის სამხედრო ქარხანაში გადასულა. 1890 წელს რუსის ქვეშევრდომობა მიუღია და რუსის ჯარში გამწესებულა. მაინც გენერალს თავის სამშობლოს სიყვარული შერჩენია და ზაფხულობით ორ თვეს შეეცალიაში ატარებდა. მამა ჯერ ცოცხალია ჰაოლია და ფიუფინგენში სცხოვრობს. გენერალს შეეცალიაში ორი ძმა ჰყავსო.

ეს ცნობა მართალი არ არისო, ამბობს «ნოვოსტი». გენერალი სტესსელი დაბადა რუსეთში 1848 წელს და პავლეს სამხედრო კორპუსში აღიზარდა.

—

დელი მელს ატყობინებენ პეკინიდგან დეკემბრიდ: ჩინელები ეხლა იმის თავდაზრეში არიან, როგორ უნდა მოაწყონ მანჯურიის საქმე, თუ რომ ჩინეთს ეს ქვეყანა დაუბრუნდა. ჰფიქრობენ, სამ პროვინციად გაჭყონ და საერთაშორისო ვაჭრობას კარი გაუღონ. ყოველ პროვინციაში სამოქალაქო სამმართველო იქმნება დაწესებული, ხოლო მთლად მანჯურიის გამგედ ვიცეკოროლი იქმნება. ქვრივი დედოფალიც თანაუგრძნობს ამ დაწყობილობას. (რ. Გ.).

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ.

ვაჭრობა და მრეწველება ზოგს მხარეს შესამჩნევად შეფერხდა ომის გამო. ვარშავის კუტერი ამბობს, ეხლანდელი კრიზისი პოლონიაში ყოველ მხრივია და წინანდელ კრიზისებზე უარესიაო. წინად ერთი დარგი შეფერხდებოდა მეფურნეობისა თუ მრეწველობისა, მეოდა მესამე იხსნიდა მწარმოებელს. ეხლა კი მეტად ცუდი დღე დადგომ, ყოველივე შეიტყო: ფინანსი, მრეწველობა ვაჭრობა, ხელოსნობა და მეურნეობა, რომელნიც ერთად არიან დაკავშირებულნი და ერთის სენით ტანჯულნი. კრიზის მეტად დაეტყო ხელის ფასს და საერთო შრომას. ამ ჟამად ჩვენს წინაშე 36,000 კაცი უსაქმოდ გაჩერებულია და საზოგადოებისაგან შებრალებას ელის. ეს რიცხვი მხოლოდ ვარშავშია და შესდგება ნახევრად ქრისტიან და ნახევრად ებრაელ ფიტაჯთაგან. მათ შორის მომეტებული ნაწილი ქარხნების მომუშავე და ხელოსანია, შემდეგ მისდევს მეფურნეობენ და ხელზე მოვაკრე. ყველა ხელობა ერთობაშია არ დაცემულია. ყველაზედ მეტად ზარალობენ მკერავნი ტ ხარიხანი, რომლებსაც სამუშაო შემოაკლდათ. ქ. ლოძში მთის არ გასულიყო, 21,000 მუშა უსაქმოდ დარჩა; ეს რიცხვი აქამდეც, რა თქმა უნდა, თვალსაჩინოდ იმატებდა.

ერთის მხრივ რომ სამუშაოს შოვნა არ არის, მეორე მხრივ სანოვაგე თანდათან ძვირდება. მაგალითად, კარტოფილი ეხლა სამჯერ ძვირია შარშანდელზე. (ნოვოსტი)...

—

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲔᲡᲐᲠᲑᲘᲐᲜ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲔᲑᲐ?

ომის ველიდგან არა ერთხელ მოსულა ამბავი, ვითომც იაპონელები მხეცურად ეპყრობიან რუსის დაჭრილ ჯარის კაცებს. ამ ამბავმა არამცთუ რუსეთი, ევროპაც კი აალაბაბაკა.

გაზეთი «ნოვოსტის» თანამშრომელის განუზრახავს გამოიკვლიოს, რავდენად მართალია ეს ამბავი და გარეშე საქმეთა სამინისტროში მისული. იქ შემდეგი გაუგია:

რუსულ გაზეთებში, მართალია, იყო დაბეჭდილი, იაპონელები მხეცურად ეპყრობიან ჩვენს დაჭრილებსაო. შესაძლოა, კორესპონდენტები სიმართლეს არა ლალატობდნენ და სწორედ იმას იწერებოდნენ, რაც ჩვენ სალდათებისგან გაგონილი ჰქონდათ.

სამინისტრო ჯერ-ჯერობით ამ საგნის შესახებ ვერას გაარიგებს, ვიდრე ოფიციალურ დამამტკიცებელი საბუთები არ იქმნება. ამის მიზეზი ცხადია.

წინანდელ ომშიაც არა ერთხელ უჩენია თავი მხეცურ ინსტინკტს ჩვენს მტერთა შორის. ეს მარად ასე ყოფილა, ესევე შეუნშნავთ ევროპისა და ამერიკის უფრო განათლებულ ერთა ომშიც. არ შეიძლება ომში სიმხეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ან ამ შავ-ბნელს დროში გამოჩნდი შენ ლამპრად, რომელმაც გაანათე კიდით-კიდე, მოგვიწოდე შენ და თანაბრად ჩაგვკიდე ხელი განურჩეველად წოდებისა, ხარისხისა და მიმართულებისა.

შენ ნათლად დავგანახვე, თუ რას შეიძლებს კაცი, რომელიც აღფრთოვანებულის იმედებით შესაქმენის ტკბილ მოძავლს.

შენთვის არ იყო არც ცოლი, არც შვილი, არც ნათესავი; შენი შვილი და საზრუნველი იყო შენი მრავალტანჯული ერი, რომელმაც გამოგზარდა და აღგჭურვა ათას გვარ გაჭირვებასთან საბრძოლველად. შენ მას ანაცვალე ყოველი შენი ფიქრი, მთელი შენი არსება; დაიფიწყე ყველაფერი იმას გარდა, მოშორდი ყოველნაირ სიამოვნებას და დამე დღეთ გიახ	დე მის სამსახურში.

არ არის კაცი ამ შენთვის ძვირფას საქართველოს ყოველს კუთხეში, რომ დღეს შენს სახელს არ შესტრფოდეს და მრავალის იმედით არ შესაქმენოდეს.

შენით მოსწონს დღეს თავი შენს აღმზრდელ სამეგრელოს, ამ ძვირფას კუთხეს მშვენიერის საქართველოისას. შენით დაანახვა მან, თუ როგორის შვილების აღზრდა შეუძლია ძველს კოლხიდას; შენით დაანახვა, თუ როგორი გმირებია საჭირო დღეს ქართველებისათვის, როდესაც საქმიანობა სიტყვების რახარუხათ გარდაიქცა.

ყველა ამით ბედნიერი ხარ, ძვირფასო ძველ ძვირფასის საქართველოისა.

აჰა, შენთვის ძვირფასი მიწა-წყალი იხსნის გულ-მკერდს, რათა საუკუნოდ ჩაგიხუტოს ძვირფასი და სამაგალითო შვილი.

მე არ გეტყვი საუკუნოდ ხსენებას. ყოველ ქართველის გულში ისედაც ამარადენელი გაქვს შეუმუსვრელი ძეგლი. ეგ ძეგლი შუადამ სათაყვანო იქნება ჩვენთა შვილთა და შვილი-შვილთათვის!

ზოგჯერ თქვენთაც გაფუჭდების!

—

იცით, რას ამბობენ?

დიდი კამათი ჰქონიათ, დიდი სჯა და აზრთა შეხლა, მაგრამ ვერა და ვერ შეთანხმებულან:

ბ. თავმჯდომარე გამგეობისა თურმე ამტკიცებდა—ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასაო... და გამგეობის წევრნიც თანხმანი ყოფილან თავმჯდომარისა.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, კრებას საარეკვიზიო კომისიის თავმჯდომარე დასწრებია, დაუმტკიცებია, რომ ზოგჯერ თქმითაც გაფუჭდებისო... და გამგეობის წევრნიც თანხმანი ყოფილან თავმჯდომარისა.

დიაღ, დიდი კამათი ჰქონდათ, დიდი სჯა და აზრთა შეხლა და ხმის უმეტესობით დაუდგენიათ,— ძაან-ძაან ლექსი ჰქონია რუსთაველს, მაგრამ ჭკუისა-კი რა მოგახსენოთო!

მკიცანი კიდეც თურმე შეუდგა ამ დადგენილების ჩაწერას ოქმში, რომ უცბად ვიღაცამ წამოაყარტალა:

— მაშ საზოგადო კრება მოვიწვიოთ და ვრცელი მოხსენებით მივმართოთ...

— მერე ვის მივანდოთო მოხსენების შედგენა და ღირსეულად დასაბუთება?

— რასაკვირველია, საარეკვიზიო კომისიის თავმჯდომარეს! შესძახეს ყველა წევრებმა.

ბ. თავმჯდომარემ საარეკვიზიო კომისიასამ დიდი მადლობა გადაუხადა ეგოდენ ნდობისა და პატივისცემისათვის, აღუთქვა პირნათლად შესრულება დავალებისა, მაგრამ...

— რა საკვირაოა, მოახსენა, საზოგადო კრება ამგვარ უბრალო და მარტივ კითხვებზედ მოვაცდინოთ? ვინ იქნება რეგვენი და ტვინლაყი, რომ არ დაგვეთანხმოს და თქმა გვაიძულოს, როდესაც თვით დიდებული პოეტი ბრძანებს—ზოგჯერ თქმითაც გაფუჭდებისო? არავინ, ბატონებო, მერწმუნეთ, არავინ! და ოდესგან თქვენ ყველანი წასვლას აპირებთ და საქმე კი პატრონი უნდა, მოვიწვიოთ საქმის გულშემატკივარნი და მოვახსენოთ: ბატონებო... აჰ, უკაცრავად: ქალბატონებო და ბატონებო! გამგეობა დრამატიული საზოგადოებისა თავს გიკრავთ, გეთხოვებათ და გთხოვთ—მათ მაგიერ სასურველი კანდიდატები დასახელეთ. რაკი კანდიდატებს დავასახელებთ, მერე კრებას მოვიწვევთ და პირდაპირ კენჭს ვუყრით. მორჩა და მოისვენეთ! აღარც ვრცელი, დასაბუთებული მოხსენება, აღარც რუსთაველის გაკრუბა! რომ სკოლნოდა საწყალს, რომ დრამატიული საზოგადოების გამგეობას ასე გაუჭირდებოდა თქმა, აღგებოდა და პირდაპირ მოსჩრიდა: არათქმა სჯობს საქმის თქმასა, თქმით ყოველივე წახდებისო!

— შენ გიშველა ღმერთმა! შესძახეს წევრებმა, მივარდნენ, აიტაცეს და შეიტროლეს, ასე გასინჯეთ, სეიმონიც კი ი შეველიეს თურმე.

დანშნულს საღამოს შეკრბნენ დრამატიული ხელოვნების გულ-შემატკივარნი „სასურველ კანდიდატების დასასახელებლადო“.

ბევრი დაასახელეს, ბევრი, მაგრამ ვინც დაასახელეს, ყველამ უარი ყამოაცხადა:

— თქვენ მიბრძანდებით, ბატონებო, და გნებავთ—თქვენ შემდეგ ჩვენ გავწიოთ ულელი! გაწევით, სიამოვნებით გავწევთ... გეფიცებით, ისე გეწყურის საზოგადოების სამსახური, როგორც გამგეობას ფული და აქტიორების—ერთმანეთში თანხმობა... მაგრამ საქმის ვითარება გაგეცანით, რომ ჩვენს ძალღონეს შეუეუფარდოთ ვითარი და გადაჭრილი მოგახსენოთ, შეეიძლებთ მის ზედვას, თუ ვერა!

საშინელი დუმილი თურმე მიჰყვა ამ თავხედს სიტყვას. ის იყო, უნდა მივარდნოდა მის მთქმელს ბ. თავმჯდომარე სარეეიო კომისიისა, უნდა დასცემოდა, გაეკრა კლანჭი და ბდღვირი ედინა, მაგრამ შეიბარალა უბეღური და მამაშვილურად დაარიგა:

— ჩვენ, ბატონებო, იმიტომ კი არ მოგიწვიეთ, რომ საქმის ანგარიში მოგვთხოვოთ... ანგარიშს საზოგადო კრებას წავუკითხავთ, რადგან ბ. მდივანმა უკვე დაამტკიცა, რომ ანგარიშის ბეჭდვა და გამოქვეყნება წინაღმდეგი ყოფილა წესდებისა... დიაღ. ანგარიშს დაეწერთ, კრებას წავაკითხავთ.. იმდენს ციფრებს დავაყრით, ვერც თავი გიგოონ, ვერც ბოლო... ღღეს კი მარტო იმატომ მოგიწვიეთ, რომ სანურველი კანდიდატები დაასახელოთ.

ბევრი დაასახელეს, ბევრი, მაგრამ ყველამ უარი განაცხადა.

ახლა ზის თურმე ბ. თავმჯდომარე საარეკვიზიო კომისიისა და ვრცელად დასაბუთებულ მოხსენებას ამზადებს დასამტკიცებლად იმისა, რომ თქმით საქმე გაფუჭდებისო.

ამიტომ არის, რომ აღარც კრებას ნიშნავენ.

— ამ სიცხე-პაპანაქებაში კი ვერა, ეგ შემოდგომის დამოეევამდე უთუოდ დაგწერო, თურმე ბრძანებდა სარეკვიზიო კომისიის თავმჯდომარე, და თუ მანამდე დრამატიულ საზოგადოებას ეკნო რამე, ეგ იმ თავხედთა ბრალია, რომელთაც სასურველი კანდიდატები არ დასახელესო!

ასე ამბობენ და მართალია, თუ არა, მაგრამ კი რა მოგახსენოთ.

Intrausigent.

კავკასია

—

აჯიკენთი, 4 ივლისი. ღღეს, საღამოს 7 საათზედ, მოჰკლეს განჯის ვიცე-გუბერნატორი ანდრეევი. ანდრეევი მონაგალი ქვემო აჯიკენთიდგან ქვეითად მარტო, სადაც ბრალმდებელ რედანოვსკისთან სადილად ყოფილა მიწვეული. აქედგან, როდესაც «ევროპის» სასტუმრო ამოიარა, კიდევ ოცდა ათი საჟენი გზა ტყე და ყრუ დაუსახლებელი ალაგი უნდა გაეგლო, რომ ზემო დასახლებულ აჯიკენთზედ გამოსულიყო, სადაც თვითონაც სახლობდა. შუა გზაზედ, ხიდზედ, წინ შეჰხვდა საგუბერნო სამმართველოს თარჯიმანი ფარაჯ ბეგი შახმალიევი, საქალაქო საკრებულოს მდივანი ჩერკაშტოვი და ვიღაც მოლა.

აქ ანდრეევი შეწყრდა და თარჯიმანს ცოტა ხანს ელაპარაკა. ყველამ ნათლად შეამჩნია, რომ ანდრეევს უკან დაშორებით მოჰყვებოდა ჩოხიანი მოქალაქე, რომელიც რამდენიმე დღეა თურმე თვალს ადევნებდა თავისს მსხვერპლს. აქედგან ანდრეევს, როგორც გამორდა ზემოხსენებულთ ჯ რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, შენიშნული კაცი დაეწია და ერთი მეორეზედ ხუთჯერ რევოლვერი უკანდგან ესროლა. ანდრეევი სასიკვდილოდ დაიჭრა და იქვე გართეაცვალა. დამბაშაეე გაიქცა, იქვე ფორტერის ბაღში ჩაუხვია, ტანსაცმელი თუ გამოიცვალა და დაიმალა. ვიდრე დამნაშავე გარბოდა და ბაღში გადახტებოდა, ვიღაც თათარი უკან მისდევდა დასაბერად და ყველა ერთხმად გაიძახოდა: «ბერ მირბისო». ამ არეულობაში პოლიციელებმა ვერარა გაარჩიეს-რა და დამნაშავემ თავს უშველა. მიმდევარი თათარი კი დაიპირეს. ამბობენ დამსწრენი, რომ დამნაშავე ვითომც განჯის მოქალაქეთგანი არისო, მაგრამ ჯერ არ შეუტყობიათ, მხოლოდ სამი სხვა კი, რომლებსაც მკვლელთან კავშირი ჰქონიათ, დაეჭიდნენ არიან.

დროებით გუბერნიას განაგებს ყაზახების დივიზიის უფროსი, გენერალი ფლეშერი.

ანდრეევის ცოლ-შვილი იმყოფება კავკასიის წყლებზედ კისლოვოდსკში და მოელიან აქა ექვს მეათათვეს. როდის ან სად დასაფლავებენ მიცვალებულს, ჯერ არ იციან.

ვ. ცხომელიძე.

რუსეთი

—

ფინლიანდია, (საკუთარ კორესპონდენტისაგან). ორი დღეა ფინლიანდიაში ვარ, ვმოგზაურობ. აქ შემდნილი შთაბეჭდილებანი იმდენად დიდია და საინტერესო საზოგადოდ და კერძოდ ჩვენს საზოგადოებისათვის, რომ იმაზე აღწერა და დასურათება ითხოვს ვრცელს წერილს, შემეუბეჭდოს ნაციონალურ, საზოგადოებრივ-ეკონომიურის მხრივ. ასეთი ხასიათის წერილს ჩვენ ვპირდებით მკითხველს მგზავრობის დამთავრების შემდეგ, ეხლა-კი მხოლოდ ერთს პაწია შემთხვევას მივაქცევ მკითხველის ყურადღებას.

არ შემიძლია, ეს შთაბეჭდილება ჯერ-ჯერობით ეხლავ ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენო.

ღღეს ღილით, ცხრა საათზე, მატარებელმა მიმიყვანა სადგურ «იმატრას», ფინლიანდიაში. სადგურისთვის დაურქმევთ ადგილობრივ წყალის სახელი.

იმატრა ჰქვიან აქაურ შესანიშნავს წყალ-ვარდნილს, რომლის სანახავად მოდიან ბრა თუ მარტო რუსეთიდან, არამედ ევროპიდანაც.

მთლია საუკეთოვო რასმე წარმოადგენს ეს თვალის წარმტაცი წყალ-ვარდნილი, რომელზედაც გადაჭიმულია მშვენიერი რკინის ხიდი და რომლის საუკეთოვო ნაპირას მარჯვნივ ოგებულია საშუალო საუკუნის კოშკის ეზგავსი სასტუმრო.

როგორ იტაცებს ადამიანის სულს და გულს იმატრას გაშმაგებული და ამამაურებული დაუბოლოვებელი სრბოლა!...

მისი აღქაფებული, თამამი და მოურიდებელი ხტუნვა ერთ კლდიდან მეორეზე, მის ტალღების შეუჩდება და ზვირთებ-მარგალიტების ჰაერში სროლა მთლად ფინელთა სულის ვითარებას გიხატავს...

ვინც კარგად დააკვირდება იმატრას მოძრაობას, სიცოცხლეს, ის ადვილად დასასურათებს წარსულს ამ კურთხეულ ქვეყნისას, რომელსაც სული და გული ხელ უხლებლად შერჩენია.

იმატრა, მოწმე ფინელთა ათას გვარ უბედურებისა, სარკეა მათის დიდის შორეულ ბისა და ცხოვრებისა. ეს შორეულ ბ ცხოვრება-კი არათუ ჩვენსავით პატარა ერთათვის, არამედ დიდ ერისთვისაც გონების გამხსნელი და თვალის ამხილველი გაკვეთილი და მაგალითია.

როგორც იმატრას ზვირთებს შერჩენია ძველებური ძალა და ელფერი, ისე ფინელს წმინდად დაუცავს თავისი ძველი წმიდა გრძნობა და მიმართულება.

გასწი, იმატრავ, შენი ხმაურობა სულს უმტკიცებს შენით დამშვენებულს ფინელთა კუთხეს.

მაღალა ბოდეკაძე.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

„მოსკ. ვედ.“-ებს ინგლისელები კიდევ არ ასვენებენ. ისინი კაეკასიას შეეესენენ და მშვიდობიანნის გზით უბირობენ დაპყრობასაო. ინგლისელებმა ხელში ჩაიგდეს ნავთის მრეწველობა, შავის ქვისა, ქვა-ნახშირისა, სპილენძისაო. ჩვენ გვეგონა, ფული დატრიალდებოდა ქვეყანაში იმითის წყალობით და ის-კი ეჰა თუ ფული იმათ გაექცთ ჩვენის ქვეყნიდანაო. გაზეთის რომ დაუჯეროს კაცმა, გამოვა, რომ ინგლისელების ჩარევით კავკასიის სამრეწველო ცხოვრებაში-კი არ გაძლიერებული ფრმოვება, არამედ შესუსტებულა. მაგალითებრ, ნავთის წარმოება წინად, 1901 წელს 572 მილ. ფუთს უდრიდა და მეორე წელს-კი დაეცა და იყო მხოლოდ 437 მილ. ფუთი, ხოლო შარშან 590 მილიონზედ მეტი არ იყოვა. აგრეთვე შავი ქვაო. წინად დიდ-ძალი შავი ქვა გაჰქონდათ ქიათურიდან და ახლა-კი თითქმის სანაბეეროდ შემცირდაო. გაზეთი ყოველ ამას ბრალად ინგლისელებსა ხსნის, მაგრამ ჰიზეს-კი არ ეკვეეს, რა მიზეზით, რა მოსაზრებით აბოკოლებენ, ან ამცირებენ ინგლისელები წარმოებას და მის რაოდენობას. ან-კი რა შუაში უნდა იყენენ ინგლისელები, თუ ნავთის და შავის ქვის წარმოებამ იკლო?!

კავკასია ჩვენი ხიდია, ევროპიდან აზიაში გადებულია; კავკასია ისეთი განაპირა ქვეყანაა, რომ მის მდებარეობას დიდი სტატეგიული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვისა და იქ სხვის ჩალიშობა არ გამოგვადგებაო. შავის ზღვის პირად, მაგალ., ინგლისელებს ჩაუგდიათ ხელში მფრთელის ხეობა, უნდათ სპილენძის და ტყვის წარმოება დაიწყონ და რკინის გზით შეერთონ ართვინ-ბათუმი.

მერე აქ რა არის საშიში? საშიში ის არისო, ამბობს გაზეთი, რომ ყოველ წარმოებაში ინგლისელები თავიანებებს აყენებენ და რუსებს სდევნიანო. ასე ჰქმნეს ბაქოში, ასე იზამენ შურიულის ხეობაშიაცა. და თუ ვინეკობაა ომი აგვიტყდა შავის ზღვის პირად, იქ ჩაეესლებული ინგლისელები დიდს დაბრკოლებას აღმოგვიჩენენ. მშვიდობიანობის დროსაც ჩვენ მხოლოდ გაგვგებელნი ვიქმნებით ქვეყნისა და არა პატრონები და ბატონებიო.

გაზეთი ინსიანუაციებსაც არ უფრთხის და გულში უძვრება კაკს, ინგლისელებს ბათუმის ციხეზედაც-კი თვალი უჭირავთო. ეი ბათუმის ინგლისელი კონსული სტევენსი უფროსია ბათუმის ეეკლესის ჭრობელთა კერძო რაზმისაო. რათაო? რათაო და იმიტომაო, რომ, თუ ცეკლი გაჩნდება, ციხეში შეეა, ვითომ ცეკლის გასაქრობად და ყველაფერს დაათვალიერებს, ისეთს საიდუმლოს გიგებს, რაც ყველასთვის ცხრა-კლიტულით უნდა იყოს დაკეტილია.

სტევენს იქნება გულში არა აქვს-რა იმის მეტი, რომ საკეთილი და სამადლო საქმეს დაეხმაროს ცეკლის ქრობისას და გაზეთს-კი ასეთი ექვი დაჰბადებია. მადლის მატლად გადაქცევას რომ იტყვიან, სწორედ ეს არის!

დეპეშა

(რუსეთის ცხოვრების საგაზეთოსაგან)

7 ივლისი.

კეტერბურგი. დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მის უდიდებულესობის სახელზე 6 ივლისით: «სამხრეთ ფრონტზე 4 ივლისს ცვლილება არა ყოფილა. 5 ივლისს ნაშუადღეზეს 5 საათიდან იაპონიის ძლიერმა რაზმმა დაიწყო წინსვლა სირეიანისკენ, ლიაოიანიდან სიმაძღრე მიმავალ გზაზე, ჩვენი რაზმის წინაღმდეგ. ორის დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენი რაზმი წავიდა სოფელ გუტზიაკისაკენ, ალაანის აღმოსავლეთად.

ტამბოვი. ხელმწიფე იმპერატორმა თვისის ყოფნის სახსოვრად მორშანსკა და ტამბოვში გადასცა გუბერნატორს ღირიბ მცხოვრებთა გადასაცემად—მორშანსკში—2 ათასი მანეთი, ტამბოვში—3 ათასი მანეთი.—6 ივლისს მეხი დაეცა ბანაკში ორს კერავს, დაზარალდა 12 ჯარისკაცი კორსანოვსკის პოლკისა; ყველანი ცოცხალნი არიან.

მინსკი. ბორისოვში დიდმა ცეცხლმა ჩანთქა ფუმფუშის ფაბრიკის «ვიქტორიანა» სამანქანოს განყოფილება. ზარალი დიდია.

დონის როსტოვი, 6 ივლისს ღვინის საწყობში ცეცხლი გაჩნდა. მიზეზი ცეცხლისა და ზარალის რაოდენობა გამოუკვეველია.

ტოკიო. (რეიტერის საგ. 10 ათასმა იაპონელებმა იერიში მიიტანეს 5 ათას რუსზე სიმაღლეებზე დაშიაოს სამხრეთად. ბრძოლა დილიდან საღამომდე იყო. რუსები, რომელთაც რამდენჯერმე ჯარები მოეშველნენ, ბოლოს იძულებულნი გახდენ პოზიცია მიეტოვებინათ, 200 მეტი მეკადარი დასტოვეს ველზე.— როგორც ჩანს, სამმა იაპონიის ნაღმის მზუსარელმა შეჯარა მდინარე ლიაო, სადაც სდგას რუსის საკანონერო ნავი და ერთი ნაღმის მეზუსარელი.—ამბობენ, ჩრდილო-აღმოსავლეთ კორეიაში რუსები გზებს აკეთებენ და ხიდებს სდგვენ მდინარე ტუმენზე. საზოგადოდ ისინი მზადებენი არიან და ეტყობა დიდ ჯარს მოელიან.

ტოკიო. (რეიტერის საგ.). «როსია», «ნიუტრიკა» და «გრომბოლი» გაიყიდენ სუნგარის სრუტით წყნარის ოკეანეში და სრუტის აღმოსავლეთად დაყენენ იაპონის გემსა. გემის სახელ და მისი ბედი არავინ იცის.

ტოკიო). (რეიტ. საგ.). იმ ამბის გამო, რომ ვლადივოსტოკის ესკადრამ გაიარა სუნგარის სრუტეში, ყველა საკეპრო გემებს, რომელიც კი იაპონის აღმოსავლეთ ნაპირებზე მიმოდიან, ოფიციალურად გაფთხილება გამოეცხადათ. გემებმა თავშესაფარად ნაესადგურებს მიატანეს.

ტოკიო. (რეიტ. საგ.). ნაშუადღეზეს 3 საათსა და 30 წუთზე ვლადივოსტოკის ესკადრამ გაანთავისუფლა იაპონიის საკეპრო გემი და აღმოსავლეთისაკენ გაუდგა, მას იაპონის ნაღმოსანთა ფლოტილია გამოეკიდა.

ლონდონი. («რეიტერის საგ.). გაზეთები მკაცრად ლაპარაკობენ გემის «მალაკას» შეპყრობის შესახებ. ის ამბავი, ეს გემი რუსებმა სეეასტოპოლს უნდა მოიყვანონო, ნიშანია იმისი, რომ რუსეთს ჰსურს დარდანელის ნეიტრალიტეტს ცილობა გაუწიოს და ინგლისთან განხეთქილება გამოიწვიოს.—«დელი გრაფიკი» ამბობს, აქეს თუ არა სათარიმო გემს «აბტერბურგს» უფლება თვინებობით მოექცეს სანეიტრალო სახელმწიფოთა გემებსა,—ეს უნდა გადაწყდეს «მალაკას» პორტ-საიდს მოსვლამდე.—«დელი-მელი» ამბობს, ინგლისის საელჩოს სტამბოლში ებრძანა, სულთანის ყურადღება მიიქციოს იმას, თუ რა დიდი პასუხის გება ედება იმას ამ საქმის გამო.—«მორნინგ პოსტი» ამბობს, დიდი ბრიტანია ვერ შეიწყნარებს რუსეთის საქციელსა გემ «მალაკას» შესახებ, ეს თავისა-თავის უპატიეცემულობა იქმნება იმის მხრივ, როგორც დიდის სახელმწიფოსი. ამას გარდა ინგლისი, როგორც იაპონიის მოკავშირე, ვალდებულია, რომ რუსეთმა დაარღვიოს პირშეკრულებანი, როდესაც რომ გზაზის სამხედრო გემებს დარდანელით და მით აძლიერებს თავის ძალას, ინგლისი ზიანი მიაყენოს.—«სტანდარტი» ამბობს, ერი ელის, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრო ამ შემთხვევაში იხმარს ნამდვილს ღონის ძიებას, ვინემ იმისთანას, რასაც ჩვეულებრივად სჩადიან დიპლომატიური მოლაპარაკებითა. უკეთუ «მალაკას» დარაჯ ქვეშ მოიყვანებენ დანიშნულ ალაგას, მაშინ ბევრი მშვიდობის მოყვარე ინგლისელი იკითხავს, რისთვის არსებობს ინგლისის ფლოტი? — «დელი ქრონიკლი» ამბობს: «ჩვენი კავშირი იაპონიასთან სწორედ გვავალებს ჩვენ, დაწვრილებით გიმეორჯოს ბრალდება დარდანელში გემების გაშვების შესახებ. „დელი ტელეგრაფი“ შენიშნავს, რუსეთმა აღძრა ძალიან რიული და საშიში საკითხები საერთაშორისო უფლებისა და აღძრა ისინი გამწვავების აზრითა. ერმა სრული ნდობა უნდა გამოუცხადოს ლორდ ლანსდოუნსაო.

ლონდონი. (რეიტერის საგ.). გემ-«მალაკას» პასაჟირები გემ «მარმარაზე» გადასხეს, რომელიც აღმოსავლეთს ჰიდის.

სტამბოლი. წავიდა რუსეთის საკანონერო ნავი „ჩერნომორეცი“.

პორტ-საიდი. (რეიტ. საგ.). «მალაკა»-ში მყოფნი ნაპირს გადასხეს. კაპიტანი გემ «ოზოროსისთ» ბრინდიზს წავიდა, რათა ეს ამბავი მთავარობს გამოუცხადოს. «მალაკაზე» რუსის კომანდაა—40 კაცი ლეიტენანტ შვარცის უფროსობითაო.

8 ივლისი.

მუკდენი. სასანიტარო მატარებელმა აქაურს საავადმყოფოებში მოიყვანა 194 დაჭრილი აღმოსავლეთ რაზმისა. როგორც დამსწრენი ამბობენ, ბრძოლა დაიწყო დიდის ოთხი საათიდან. იაპონელებმა წინდაწინვე შეიტყეს ჩვენი მიახლოება და მაღლობები დაიპირეს, საღამაც უდიერი სროლა დაუწყეს ჩვენს

ᲨᲝᲚᲔᲑᲔᲑᲘ. შემდეგ მოიდიმეს უკან დასდგებოდენ ჩვენი ჯარის გაბრუნებულს ნაწილს, ჩამოვიდნენ მაღლობებიდან ძირს, ამ დროს გარს შემოეკრნენ ჩვენი როტები და დიდი ზარალი მოუვიდათ. ამ ალაგას ჯარი რიმდენჯერმე ხიშტით იბრძოდა.

ᲯᲐᲮᲕᲘ. ᲯᲐᲮᲕᲘᲡᲘ ᲨᲝᲚᲔᲑᲔᲑ